პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
30 აგვისტო
№ 199 (17842)
ფასი 2 კაპ.

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

რვა თვის გეგმა-ვადამდე

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 29 აგვისტოს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აგვისტოს გეგმა.

თბილისის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 29 აგვისტოს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აგვისტოს გეგმა.

(საქინფორმი).





სურათზე: ალმა-ათა. აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ტრიბუნაზეა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

საკავშირო-საქინფორმის ტელეფოტო.

ლენინის ნათელი გზით

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ალმა-ათაში

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სსრ კავშირის მომძე ხალხთა ერთიან ოჯახში აღნიშნავენ აზერბაიჯანის მშრომელები სახელოვან იუბილეს — აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს.

სადღესასწაულოდ არის მორთული აზერბაიჯანის დედაქალაქი. ვ. ი. ლენინის სახელობის სასახლეში 29 აგვისტოს გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს. სხდომაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომელთა და საბჭოთა არმიის მეომართა წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში „მოჩანს კომუნისტური პარტიისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი. სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ალმების ფონზე მოჩანს ციფრი „60“ და მაკეტები ორი ლენინის ორდენის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებისა, რომლებიც რესპუბლიკას მიენიჭა.

დარბაზში არიან აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომისა და ყამირის დაპყრობის მონაწილენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა მეომრები, აქვე არიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ნ. იმამოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი, მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციების ხელმძღვანელები — კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები: მოლდავეთისა — ი. ი. ბოდიული, ლატვიისა — ა. ე. ვოსი, ყირგიზეთისა — ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთისა — ჯ. რასულოვი, სომხეთისა — კ. ს. დემირჩიანი, თურქმენეთისა — მ. გ. გაფუროვი, ესტონეთისა — კ. გ. ვაინო, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ს. ბარკაუსკასი. აქვე არიან ავტონომიურ რესპუბლიკათა დელეგაციების ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: ბაშკირთისა — მ. ზ. შაკიროვი, თათრეთისა — რ. მ. მუსინი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, აზერბაიჯანის კომპარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეები, წარჩინებული მშრომელები, მხედართმთავრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. **კუნაევმა.** მან თქვა:

დიდი სიხარულის გრძნობით აღვნიშნავთ ჩვენ დღეს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — მოძმე რესპუბლიკათა ოჯახში თანასწორთა შორის თანასწორისა — და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაკადი და მებრძოლი რაზმის სახელოვან მესამოცე წლისთავს.

ჩვენი სიხარული ახლობელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. იგი წარმოშვა იმ დიდი გზის გაგებამ, რომელიც განვლილია იმ დაუვიწყარი და შთამაგონებელი წლების მანძილზე, რომლებიც ასახიერებს კლასობრივ მტერთან ბრძოლების სიმტკიცეს, პირველი ხუთწლედების აღმშენებლობითს შემართებას, ომის წლების არნახულ მასობრივ გმირობას, ახლანდელ ბედნიერებას მშვიდობიანი შრომისა, ნათელი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ რომ მიგვიძღვის.

სიმბოლურია, რომ რესპუბლიკის იუბილე აღინიშნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს, პარტიის XXVI ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების წელს, ლენინური პარტიის დიადი იდეალების ერთგულნი იყვნენ და არიან ყველაფერში და ყოველთვის ყაზახი ხალხი, ყაზახეთის ყოველი მშრომელი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებულად ამაღლებულს ხდის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის აქ ყოფნა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენი ჩამოსვლა, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, დიდი სიხარულია. ჩვენ ვაფასებთ მას, როგორც კიდევ ერთ მკაფიო დადასტურებას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შუდმიანი ყურადღებისა რესპუბლიკისადმი, პირადად თქვენი ზრუნვისას საბჭოთა ყაზახეთის ყოველმხრივი განვითარებისათვის. **(ტაში).**

ჩვენ ვამაყობთ, რომ თქვენს სახელთან, პარტიისა და სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის მედგარი მებრძოლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის ყველა მიღწევა, ისევე როგორც ქვეყნის ყველა მიღწევა. **(ტაში).**

თქვენი დაუცხრომელი ენერგია, ოპტიმიზმი, ღრმა ყურადღება მშრომელი ადამიანებისადმი ყოველთვის იწვევდა და იწვევს თქვენდამი თითოეული საბჭოთა ადამიანის უგულწრფელესი მადლიერების გრძნობას. **(ტაში).**

ჩვენი ზეიმის ბევრ მონაწილეს გაუღიმა ბედმა — ემუშავათ თქვენთან ერთად, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით. ჩვენ ყველანი ვსწავლობდით თქვენგან არა მარტო ურთულესი პოლიტიკური, სახალხო-სამეურნეო ამოცანების მასშტაბურად გადაწყვეტას, არა მარტო პარტიულ-პრინციპულობასა და გარჯას, არამედ კეთილ თანაგრძნობასაც მშრომელი ადამიანებისადმი, სურვილს ყოველთვის ისულდგმულოთ საბჭოთა ადამიანის ღვაწლი საზრუნავით. **(ტაში).** ამას ვსწავლობთ ჩვენ თქვენგან დღესაც! **(ტაში).** ნება მომეცით, ამხანაგებო, რესპუბლიკის კომუნისტების. ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მივესალმო ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს ალკაჯ ყაზახეთის ძველთაძველ მიწა-წყალზე, **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ამ საზეიმო ჟამს ჩვენი მადლიერი გული აღსავსეა დიდი ბედნიერებით იმის შეგნების გამო, რომ ნათელი დღესასწაულის სიხარულს ჩვენთან ერთად იზიარებენ ჩვენი ძმავალეროვანი საძმობლოს მომძე რესპუბლიკების წარმოგზავნილნი. **(ტაში).**

დ. ა. კუნაევი გულთბილად მიესალმა დელეგაციებსა და მათ მეთაურებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ალმა-ათაში საიუბილეო ზეიმზე.

ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXVI ყრილობას — ამ დიად მოვლენას ქვეყნისა და მსოფლიოს ცხოვრებაში, — რესპუბლიკის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ყველა უბანზე იშრომონ დამკვრელურად, ლენინურად, თქვა შემდეგ მან, ჩვენ ეშვი არ გვეპარება, რომ აზერბაიჯანის ძმავალდარგოვანი მრეწველობა ვადამდე შეასრულებს წლიურ გეგმას, ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მშრომელები. შესაბამისი მიღწევებით აღნიშნავენ დღესასწაულს მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მისი ყველა. დარგის მუშაკები წარმატებით იბრძვიან ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი გმირი მხვნელ-მთესველები აპირებენ წელსაც, ისევე როგორც შარშან, გაახარონ საყვარელი სამშობლო უხვი მოსავლით — ქვეყანას მისცენ მილიარდი ფუთი მარცვლეული **(ხანგრძლივი ტაში).**

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს სახელით დ. ა. კუნაევმა დღესასწაული მიულოცა ყველა ყაზახს — მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, კომუნისტებს, რესპუბლიკის სახელოვან ახალგაზრდობას და უსურვა ყველას ახალი შესანიშნავი მიღწევები პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულ შეხვედრაში.

საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება. გაისმის სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სხდომის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ სპათიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

გაისმის საზეიმო მარში და დარბაზში შემოაქვთ ოთხგზის ორდენოსანი ყაზახეთის სს რესპუბლიკის დროშა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ლ. ი. ბრეჟნევს.** ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიესალმებიან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროს პატივსაცემად, საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში

ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად ულოცავენ ყაზახეთის სს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ იუბილეს — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ყაზახი ხალხის ბედი, მოუტანა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება, შეუქმნა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო შესაძლებლობები, გაუხსნა ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზა.

საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყაზახეთი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელმაც მიაღწია არნახულ მწვერვალებს ეკონომიკურ, სოციალურ და ხელოვნურ განვითარებაში. მის ტერიტორიაზე აშენდა ახალი ქალაქები, შეიქმნა ხელოვნური ზღვები, მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დიდი კერები. მიაღწია რა საწარმოო ძალების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ განვითარებას, რესპუბლიკას თვალსაჩინო ადგილი უკავია შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.

თანამედროვე ყაზახეთი — ეს არის ფერადი და შავი მეტალურგიის, ნავთობ-ენერგეტიკული, ქიმიური, მანქანათმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების მნიშვნელოვანი ცენტრი, ეს არის მანგაშლაყის, ყარაგანდა-ჯამბულის, პავლოდარ-ეკიბასტუზის მძლავრი ინდუსტრიული კომპლექსების მშენებლობა, ეს არის მრავალდარგოვანი მსუბუქი და კვების მრეწველობა.

მთლიანად გარდაიქმნა ცხოვრება სოფლად. მომთაბარეთა ყოფილ ნახევარეებზე, შეიქმნა თანამედროვე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მხნეები სახოფლო-სამეურნეო გაერთიანებები. საბჭოთა ადამიანების უჭკნობი გმირობის, ვაჟკაცობისა და პატრიოტიზმის, ინტერნაციონალური წრთობის სკოლად იქცა გმირული ყამირის ეპოპეა, რომელმაც ყაზახეთი გადააქცია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძირითად ბელლად, ქვეყნის უდიდეს მეცხოველეობის ბაზად. მარტო მიმდინარე ხუთწლედში სამშობლომ სამჯერ მიიღო ყაზახეთის მიწათმოქმედებისგან მილიარდ ფუთზე მეტი პური. რესპუბლიკაში მიღწეულია მაღალი შედეგები სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციაში.

საბჭოთა ყაზახეთი დამაჯერებლად ცხადყოფს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების გამარჯვებას. აქ აღიზარდნენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისმოყვარეობისა და კომუნიზმის საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით გამსჭვალული სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანთა თაობები. ყაზახეთის მშრომელებმა მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ხალხის შრომითი და საბრძოლო გამარჯვებების მატიანეში, აქტიურად მონაწილეობდნენ მტრის განადგურებაში დიდი სამამულო ომის დროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნაში, კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ავლენდნენ მაღალ შეგნებულობას, გმირობასა და თავდადებას.

საბჭოთა ყაზახეთის ყველა ეს წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი და გამოცდილი რაზმის — ყაზახეთის კომპარტიის მოღვაწეობასთან, რომელიც თავისი სახელოვანი სამოცი წლის მანძილზე ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის როგორც მახვილი პოლიტიკური ავანგარდი და ორგანიზატორი, ზრდის მათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ჩაებნენ რა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისთვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, რესპუბლიკის კომუნისტები და მშრომელები თავდადებით შრომობენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ყაზახეთის სს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სამშობლოს ძლიერების, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გაუმარჯოს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულის ჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

შრომითი გამარჯვება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ალმასკომის „ინქმშენის“ ტრესტის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სულითა და გულით ულოცავენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მშენებელთა სახელოვან კოლექტივს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ფართოდ გაშალეთ რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, თქვენ შეძელით შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ეფექტიანობისა და მშენებლობის ხარისხის ამაღლების საფუძველზე ვადამდე, 8 აგვისტოსათვის — მშენებლის დღისათვის გაგენაღდებინათ მეათე ხუთწლედის დავალებანი.

სახეხარულია, რომ ამ წლებში საინჟინრო-ტაციოდ გადაცემულია მიწისქვეშა კომუნიკაციათა და საინჟინრო ნაგებობათა უმნიშვნელოვანესი ობიექტები. მათ შორისაა ლია საცურაო კომპლექსი სანაპიროზე, ავტოსტრადა, სამუსიკო სკოლა, ცხრა მიწისქვეშა გადასასვლელი. დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა გმირთა მოედანზე ქალაქის სატრანსპორტო სქემის რეკონსტრუქციისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ „ინქმშენის“ ტრესტის მრავალათასიანი კოლექტივი, რომელიც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა, მეთერთმეტე ხუთწლედში გაორკეცებული ენერგიით გადაწყვეტს დაკისრებულ ამოცანებს, დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის სანაბოლაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცავთ ღირსსახსოვარ მოვლენას — აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს. (ტაში). დღეს დიდი დღესასწაულია არა მარტო თქვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვისაც.

გულწრფელად მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვარ ამ საზეიმო დღეს. აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა უშუალოდ ვარ დაკავშირებული აზერბაიჯანთან, მის პარტიულ ორგანიზაციასთან. და ახლა, როცა ვხედავ მეგობრებს, შრომის ვეტერანებს, რომლებთან ერთადაც, შეიძლება ითქვას, პირველი კვალი გამივლია და ერთად გადაგვიგბრუნებია ვეებერთელა ყამირის ბელტი, თქვენთან ერთად ვხარობ, ვხარობ, რომ წარმატებით გრძელდება საქმე, რომელიც მაშინ დავიწყეთ. (ტაში).

ყამირი მარტოდენ პურს როდი გვაძლევს, იგი ამხნევებს და ზრდის ადამიანებს, და ამ ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ მათი ხდომა შეიძლება. მათი იმედი შეიძლება იქონიო. (ტაში).

დღეს აზერბაიჯანი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ბეღელია. ეს ადასტანავე არის მძლავრი მრავალდარგოვანი ინდუსტრიის მხარე. სულ ნახევარი დღე სჭირდება აზერბაიჯანს, რომ გამოუშვას იმდენი სამრეწველო პროდუქცია, რამდენიც აწარმოვა მთელ 1920 წელს — თქვენი რესპუბლიკის შექმნის წელს. ნახევარი დღე და მთელი წელიწადი! აი, რა გოლიათური ნაბიჯებით მიიწევს წინ ყაზახეთი. (ტაში).

ყარაღანდისა და ეკიბასტუზის ქვანახშირი, ჯეზყაზღანისა და ალტაის მადნის ფერადი ლითონები, თემირთაუს ფოლადი, ჯამბულისა და ჩიმკენტის ფოსფორიტები, ემბისა და მანგიშლაყის ნავთობი— ყოველივე ეს ფრიად საგრძნობი სიდიდეებია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში.

წინათ ყაზახეთში წერა-კითხვის მცოდნე კაცი სანთლით საძებარი იყო. ახლა კი ყოველწლიურად თითქმის ოთხი მილიონი ბავშვი, ქალიშვილი და ჭაბუკი უსხდება მერხებს, შედის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების აუდიტორიებში. რევოლუციამდე არც ერთ ეროვნულ მწერალს, მათ შორის, დიდ აბაისაც არ მოსწრებია საკუთარი თვალით ენახა დედაენაზე დაბეჭდილი ნაწარმოები. ახლა კი ყაზახი ხალხის სოციალისტური კულტურა ჩვენი სამშობლოს სულიერი სიმდიდრის ერთ-ერთი შესანიშნავი მონაპოვარია.

აზიაში ბევრი როდი მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც მეცნიერების განვითარების დონით დღევანდელ ყაზახეთს შეედრებოდა.

არის რაღაც სიმბოლიკა იმაში, რომ დღეს თქვენი მიწა-წყლიდან იკრება ცაში კოსმოსური ხომალდები. ხატოვნად რომ ვთქვათ, თვით რესპუბლიკაც კოსმოსური აღმაფრენის გზაზეა. (ტაში).

რა არის ესოდენ სწრაფი სოციალური პროგრესის წყარო? ეს გახლავთ ჩვენი სოციალისტური წყობილება. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი მასების ენერგია და ნება, მათი მძლავრი შეთქმედებითი ძალები, დიდმა ოქტომბერმა რომ გაალია. და, რაღა თქმა უნდა, ეს გახლავთ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთა ერთიანობა და ურთიერთდახმარება. (ტაში).

ყაზახეთელ რუსებზე განსაკუთრებით მინდა მოგახსენოთ. თავისი დაბადების მომენტიდანვე საბჭოთა ყაზახეთს მხარში ედგა რუსი ხალხი. რუსი მუშები, მოწამთმოქმედნი, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები, რომლებიც თქვენს მიწა-წყალზე ირჯებიან, — დღევანდელი აყვავებული ყაზახეთის მშენებლები არიან. (ტაში).

ბევრ საქებარ სიტყვას იმსახურებენ სხვა იმ ეროვნებათა მშრომელებიც, რომლებისთვისაც რესპუბლიკა მშობლიური კერა გახდა. (ტაში).

რესპუბლიკის მიღწევებში მთელი სული და გული, ენერგია ჩაესულია ყაზახეთის კომუნისტებმა, რომლებიც ჩვენი ლენინური პარტიის სასიქადულო რაზმს შეადგენენ. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის პარტიულ მუშაობასა და სამეურნეო საქმიანობას მარჯვედ უძღვება ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად დინმუხამედ ახმედის ძე კუნაევი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე. (ხანგრძლივი ტაში).

მთელ ქვეყანასთან ერთად ბევრი ძნელი განსაცდელი გამოიარა ყაზახეთმა და იმაში, რომ ეს განსაცდელი ღირსეულად გადაიტანეს, — უდიდესი წვლილი მიუძღვით კომუნისტებს, კომკავშირელებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს. მათს აქტივშია ისეთი გმირჯვება, როგორიც ყამირი და ნასვენი მიწების უდიდესი მასივები ათვისებაა. მინდა ქება-დიდებით მოვიხსენიო ისინი, ვინც გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და აქ ჩამოვიდა, რათა ყაზახ მხვნელ-მთესველებთან ერთად გამოექედა ეს გმირჯვება. (ტაში).

თქვენი საქმეებით, ამხანაგებო, ნამდვილად შეგიძლიათ იამაყოთ! (ტაში).

დღეს ჩვენ მუშური, შრომითი დღესასწაული გვაქვს, უკვე მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დაგვიდგა. იგი უნდა დავაგვირგვინოთ ღირსეული შედეგებით, ამაზეა დამოკიდებული მთლიანად ხუთწლედის შესრულება.

ძალიან კარგია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობისათვის მზადება უკვე საქმედ იქცა არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მთელი ჩვენი ხალხისათვისაც.

მინდა, ამ ტრიბუნიდან მხურვალედ მივესალმო საყრილობო შეჯიბრების მონაწილეებს და ვუსურვო მათ ყველაზე სრული, ყველაზე დიდი წარმატება ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში. (ტაში).

ახლა გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს ყველგან — ქარხნებში, სამეცნიერო ცენტრებში, დაწესებულებებში და, რა თქმა უნდა, მინდვრად.

სოფლის მეურნეობაში, ისე, როგორც სხვა არც ერთ დარგში, წლის შედეგები იმახეი დამოკიდებული, თუ როგორ არის ორგანიზებული სამუშაოები საბოლოო ეტაპზე. ქვეყანაში ყველგან ერთნაირად როდია მოსავლის საქმე. მაგრამ ვინაიდან ჩვენ ყველას გვაინტერესებს, თუ რა პირი უჭირს მოსავალს. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არცთუ ურიგო ჰირნახულს მოველით. საბოლოო შედეგებს მაშინ შეავჯამებთ, როცა მოსავლის აღებას მოვრჩებით. 60 მილიონ ჰექტარზე

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ყვავილებით შეამკეს

ალმა-ათა, 28 აგვისტო. **(საკ-დისის სპეც. კორ.).** ყაზახეთის დედაქალაქის ცენტრში აღმართულია კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დიდებული ძეგლი.

დღეს აქ იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, მასთან ერთად იყვნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების და მთელი რიგი საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, ყაზახეთის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მომავალი საიუბილეო სხდომის სხვა მონაწილეები.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყვავილებით შეამკო ძეგლის კვარცხლბეკი, ძეგლი ყვავილებით შეამკეს აგრეთვე საიუბ

ლენინის ნათელი გზით

(გაგრძელება)

პურეულის, მოსავალი უკვე აღებულია. იზრდება მარცვლეულის ნაკადი ელევატორებში. პურეულის დამზადებაში დიდი წვლილი შეაქვთ ყირმანის, სტავროპოლის მხარის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის, ორენბურგის, როსტოვის ოლქების, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ამ ხუთწლეულში ქვეყანამ ყაზახეთის მხვნელ-მთესველებისაგან უკვე სამჯერ მიიღო თითო მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული. ასეთ შედეგებს ჩვენ უკვე თანდათან ეეჩვევით. ამხანაგმა კუნაევმა თავის გამოსვლაში თქვა, და სოლქო კომიტეტების მდივნებიც ამბობენ, რომ წელს თქვენ მილიარდიანი მიჯნის დაძლევას აპირებთ. ეს ძალზე კარგია, ამხანაგებო. (ტაში). მჯერა, რომ სიტყვას არ გატეხთ და მთელ ჩვენს ქვეყანას მოიმადლიერებთ. (ხანგრძლივი ტაში).

ახლა ყოველი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი ისწრაფვის წარმატებით აიღოს მოსავალი და მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის პურეულ რესურსებში.

დამკვრელური შრომა უყურადღებოდ არ დარჩება, ყოველთვის მიიღებს ჯეროვან შეფასებას. (ტაში).

პური ჩვენი მთავარი საზრუნავია. მაგრამ მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა გვქონდეს მოსავლის აღების სამუშაოთა მთელი კომპლექსი. სოფლის სპეციფიკა ისეთია, რომ როცა წლევანდელ მოსავალს იღებ, ამთავითვე უნდა იზრუნო მომავალი წლის ჭირნახულზეც. დროზე და მეტი ვთქვა-სოთ საშემოდგომო კულტურები, მოვიმარაგოთ ხარისხოვანი თესლი, მივამზადოთ ნიადაგი მომავალი წლის მოსავლისათვის — ესეც დღევანდელობის გადაუდებელი ამოცანებია, ამხანაგებო.

არ შეიძლება არაფერი ვთქვათ მეცხოველეობაზე. მით უმეტეს, რომ ყაზახეთში მეცხოველეობა შესამჩნევი და მზარდი დარგია.

გასული წლის მოუსავლობამ ქვეყანაში დიდი სიძნელენი შექმნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეინარჩუნეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. ასე რომ, კარგი საფუძველი გვაქვს მეცხოველეობის პროდუქციის გასაღიდებლად. მაგრამ ამისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა სამყოფად დავამზადოთ საკვები. ეს მარტოდენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას როდი ეხება. ხელი უნდა შევუწყოთ აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ფრინველისა და პირუტყვის ფურაჟით უზრუნველყოფას.

თითქოს, დღესასწაულებზე მაინცდამაინც არ შეგვშვენის საქმეზე ლაპარაკი. მაგრამ მოდით, მტკიცედ მივსდიოთ ლენინის დანაბარებს — საიუბილეო თარიღები პრაქტიკული მუშაობის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს.

ამხანაგებო, ახლა საგებმო ორგანიზაციებში, სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოო კოლექტივებში პასუხსაგები მუშაობა მიმდინარეობს: დგება მომავალი ხუთწლეულის გეგმები.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია დასახოს ნამდვილად მასშტაბური ამოცანები, რომლებიც ყველა რეგიონს, ჩვენი უზარმაზარი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს. და ამავე დროს — ეს ამოცანები უსათუოდ რეალური უნდა იყოს.

შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღერძი უნდა გახდეს მრეწველობის საბაზრო დარგების — ენერგეტიკის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის, ქიმიისა და ტრანსპორტის მოდერნიზაცია. და აქ უთუოდ გვმართებს ვიზრუნოთ სულ ცოტა 1990 წლამდე პერიოდისათვის. საჭიროა გვქონდეს სპეციალური სასურსათო პროგრამა. არა მგონია, საჭირო იყოს იმისი ახსნა, თუ რატომ გვჭირდება ასეთი პროგრამა.

მტკიცედ უნდა დავაწინაუროთ კაპიტალური მშენებლობა. ჩვენ ბევრს ვაშენებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, სახსრები ხშირად იქსაჭსება. ხდება ხოლმე, რომ მშენებლები ყველაფრისთვის ვერ იცლიან. საჭიროა, სურვილები შეესაბამოთ და მაქსიმალურად მოვუყაროთ თავი რესურსებს მთავარ მიმართულებებზე. მოდით, წესად გავიხადოთ: ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკური დონეზე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხვალინდელი დღის მოთხოვნების დონეზე. ეს ეხება მრეწველობასაც და სოფელსაც.

სოფელზე კაპიტალური დაბანდების მეოთხედზე მეტი მოდის. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობა სულ უფრო ინტენსიური ხდება, ინდუსტრიულ სახეს იღებს.

ბევრს, ალბათ, გახსოვთ, როგორ გამოიყურებოდა სოფლის რაიონები მოსავლის აღების პერიოდში 25-30 წლის წინათ. კალოებიდან დამამზადებელი პუნქტებისაკენ ურმები მიიზლაზნებოდნენ. და ცხენის საზიდრებსა და ულიანში შებმულ ხარ-კამეჩს შორის აქ-იქ თუ გამოჩნდებოდა სატვირთო ავტომანქანა. არადა, რამდენი იყო ხელის შრომა!

ახლა სულ სხვა სურათია: სხვადასხვაგვარი რთული მანქანების სიმრავლე სოფლის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. მუშაობის კლასი და დონე მკვეთრად ამაღლდა. მაგრამ ყველა ამ მიღწევასთან ერთად გადასაჭრელი პრობლემებიც მრავლად გვაქვს. ქვეყნის ბევრ რაიონში მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე დიდად ვართ დამოკიდებული ამინდის პირობებისაგან და ყოველად შეუფუნარებელია ზკვე მოყვანილი მოსავლის დანაკარგები. ჩამოგვირჩა გადამშუშავებელი მრეწველობა, არ გვყოფნის პროდუქტების, მეტადრე კარტოფილისა და ბოსტნეულის შესანახი ბაზები, ცუდი გვაქვს გზები.

დასკვნა ერთია: სახსრები, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოიყოფა, ისე უნდა ვხარჯოთ, რომ ვიწრო ადგილები არ გვრჩებოდეს. და აქ სულაც არ არის საჭირო ზემოდან კარნახის ლოდინი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ ყველა უფლებამოსილება მეურნეობის რაციონალური გაძღოლისათვის.

შრომითი კოლექტივების ინიციატივა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუდამ იყო ჩვენი განვითარების მძლავრი ამჩქარებელი. მეურნეობრიობის ჩინებული გამოცდილება ყველგან არის გავრცელებული და იგი საყოველთაო კუთვნილებად უნდა ვიქციოთ.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ახლა ვიმყოფებით დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის — პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნების ზღურბლზე. ეს კამპანია დიდი სკოლაა, შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტია თითოეული კომუნისტისათვის.

პარტიული პოლიტიკის, თავიანთი ორგანიზაციების მუშაობის მრავალ საკითხზე კომუნისტთა ბჭობას, აზრებს, საქმის ინტერესებით ნაკარნახევ პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და გამდიდრებს პარტიულ ცხოვრებას. პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე თითოეულმა კონსტრუქციულმა გამოსვლამ, ყოველმა საქმიანმა წინადადებამ პრაქტიკულად უნდა შეისწავლოს ხორცი. ეს კარგ სამსახურს გაუწევს კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

მინდა ვისურვო, რომ საყრილობო პერიოდი ყაზახეთის კომუნისტებისა პარტიისა და, მთელი რესპუბლიკისათვის აღინიშნოს ცოცხალი, ენერგიული მუშაობით, ახალი შრომითი წარმატებებით. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო!

როგორც იცით, უკანასკნელ ხანს ყირიმში ტრადიციული შეხვედრები მქონდა ევროპისა და აზიის მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან. ეს იყო წრფელი მეგობრების, მშვიდობის დაცვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში თანამოსაგრეებისა და თანამებრძოლების შეხვედრები. ჩვენი სჯა-ბაასი შინაარსიანი და ფრიად სასარგებლო იყო. თუმც ისე ითვლებოდა, რომ მათი მონაწილენი „დასასვენებლად“ იყვნენ ჩამოსულნი, მაგრამ მართალი გითხრათ, ყველას დიდი ჯაფა გვადგებოდა.

გამართული საუბრების დროს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაწვრილებით გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის აზრი საერთაშორისო მდგომარეობაზე, მის ახლანდელ განვითარებაზე.

ჩვენ ერთსულოვანნი ვიყავით ამ მდგომარეობის შეფასებაში. ამჟამად იგი საკმაოდ რთულია. მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლების პატივისცემისა და დაძაბულობის შენელებისათვის მოღვაწე ძალებსა და ჩაგრის, მილიტარიზმისა და აგრესიის ძალებს შორის.

და აქ განსაკუთრებით უნდა ითქვას იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ამჟამად ადგას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

ისინი, ვინც დღეს განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, აშკარად ვერ ხედავენ ან არ სურთ დაინახონ ისტორიული ცვლილებები მსოფლიო ასპარეზზე, ძალების ახალი თანაფარდობა მსოფლიოში. ისინი ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ შეძლებენ არარად ჩაგდონ ხალხთა ნება, თავიანთ ბატონობას დაუშორჩილონ სხვა სუვერენული სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი თავი, სურთ უკარნახონ ამ სახელმწიფოებს თავიანთი პოლიტიკა, დაეპატრონონ მათს ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ვაშინგტონი გააფთრებული და გაშმაგებულია იმის გამო, რომ სოციალური რევოლუციები ხდება აზია-აფრიკაში, რომ პროგრესული რეჟიმები ხელისუფლდებიან ლათინურ ამერიკაში, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები სულ უფრო მეტად იჩენენ გარკვეულ დამოუკიდებლობას პოლიტიკაში და ზრუნავენ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესებისათვის.

დასავლეთ ევროპაში ბირთვულშუბტიანი ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების შესახებ ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა მიაღებინა, სავსებით კასაგები მიზეზების გამო დასავლეთ ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის შეშფოთებას და პროტესტებს იწვევს.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეგრეთ წოდებული „ახალი ბირთვული სტრატეგია“ გამოაცხადა. მისი მთავარი არსი ფაქტობრივად ის არის, რომ თვით ბირთვული ომის იდეას თანდათან შეაგუოს საზოგადოებრივი აზრი. სწორედ ამას ემსახურება მსჯელობა ბირთვული იარაღის ვითომდა „შეზღუდული“, „ნაწილობრივი“ გამოყენების შესახებ, რასაც საერთო არა აქვს რა რეალობასთან და მხოლოდ ატყუებს ადამიანებს. ეს ხომ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის უაღრესად საშიში პოლიტიკაა. ძნელი წარმოსადგენიც კია, რომ ასეთ პოლიტიკას დაგას იმ ქვეყნის მთავრობა, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ხელი მოაწერა ბირთვული ომის თავიდან აცილების შეთანხმებას. შემთხვევით როდი იყო, რომ ვაშინგტონის ეს ნაბიჯი გულისწყრომით დაგმეს მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა წრეებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების აღმინისტრაციამ, სურდა რა საჯაროდ გამოეხატა უკმაყოფილება საბჭოთა კავშირის პოლიტიკის გამო, რომელიც ბუნებრივ მზრუნველობას იჩენს თავისი უშიშროებისათვის და გასაჭირში არ ტოვებს მეგობრებს, განიზრახა რაღაც ბოიკოტისნარი მოეწყო საბჭოთა კავშირისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ზედიზედ აუქმებს პოლიტიკურ და სხვადასხვა კონტაქტებს ჩვენს ქვეყანასთან, წყვეტს მოლაპარაკებას განიარაღების მთელ რიგ საკითხებზე, არ ერიდება იმას, რომ ეაჭრობის საკითხები პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად იარაღად გამოიყენოს, მიმართავდა ნაირ-ნაირ ხერხებს მოსკოვის ოლიმპიადის ხელშესალად, დაბეჯითებით მოუწოდებდა სხვა ქვეყნებს მიმხრობდნენ ასეთ ანტიისაბჭოურ კურსს.

და მერე რა? ახლა ყველანი ხედავენ: ამ ცდებს — დაესამარებინათ დაძაბულობის შენელება, თავს მოეხვიათ მსოფლიოსათვის ახალი „ცივი ომი“ სულაც არ შეხვედრიან მოწონებით ხალხის ფართო მასები, მთავრობათა მეთაურები, და არ მოუტანიათ სარგებლობა მათი ინიციატორებისათვის.

საჭირო რაოდენობის საქონელი, რომლის საბჭოთა კავშირისათვის მიყიდვა აკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, ჩვენ შევიყიდეთ სხვა ქვეყნებში, თანაც, ზარალი მხოლოდ ამერიკელმა ფირმრერებმა და მრეწველებმა ნახეს.

ოლიმპიადამ, საყოველთაო აღიარებთ, საუცხოოდ ჩაიარა, გახდა სპორტისა და ხალხთა მეგობრობის ნამდვილი დღესასწაული (ტაში), ხოლო თავშეკავებული ბისი მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება სსრ კავშირის „პოლიტიკურ იზოლაციას“, ასეთი რამ არ ყოფილა, არ არის და არც არაა-სდროს იქნება. (ტაში). ჩვენმა ბოლოდროინდელმა ჯილდოებმა ბევრ მთავრობასთან, მათ შორის ჩემმა მოლაპარაკებამ საფრანგეთის პრეზიდენტთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან დამაჯერებლად ცხადყო, რომ დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავების და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების, ალაგებული შეიარაღების ალაგმვის აუცილებლობა ესმით ყველგან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებსაც.

სავსებით ბუნებრივია, რომ თავისი საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული, ხუთი წლის წინათ ჰელსინკში ხელმოწერილი საბოლოო აქტის ფორმისა და შინაარსის ერთგული საბჭოთა კავშირი უაღრესად სერიოზულ ყურადღებას უთმობს და კვლავაც დაუთმობს საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას.

საერთოდ, ალბა რომ თქვას, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თანდათან იზრდება იმის გაგება, რომ ამჟამად ქვეყნად არსებულ პრობლემათაგან ვერც ერთი ვერ გადაიჭრება „ძალის პოზიციით“, იარაღის ჟღარუნით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებიც ასეთ დასკვნას გამოიტანენ. რა თქმა უნდა, რაც უფრო ადრე იქნება ეს, მით უკეთესია.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა — ეს არის მშვიდობის მკაფიო და ნამუსიანი პოლიტიკა, რომელიც არ არის მიმართული ვისიმე წინააღმდეგ. ჩვენ არ ხელგაყოფთ ვისიმე მიწა-წყალს, არ ვეერევით არავის საშინაო საქმეებში. მაგრამ ჩვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები ყოველთვის შეგვიძლია დავიცვათ (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენს სასიქადულო შეიარაღებულ ძალებს ყველაფერი აქვთ საომისოდ, რომ უკუგაგდონ ნებისმიერი აგრესორი, ჩვენ მხარში გვიდგანან თანამებრძოლი ძმები — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნული არმიები.

დიდება მშვიდობის საიმედო გუშაგებს! (ხანგრძლივი ტაში).

საერთაშორისო პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ, ერთმანეთს უპირისპირდება აზიის კონტინენტზეც, სადაც თქვენი რესპუბლიკა მდებარეობს.

აზიის მშვიდობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ჩვენი მეგობრობა, თანამშრომლობა და თანამოქმედება ისეთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, როგორიც მონღოლეთი, ვიეტნამი, ლაოსი, კამბუჯია და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ამასწინანდელმა შეხვედრებმა და საუბრებმა, რომლებიც მქონდა ამხანაგებთან ლე ზუანთან, ფამ ვან დონგთან, ცედენბალთან, კიისონ ფომვიხანთან, ჰენგ სამრინთან და პენ სოვანთან, კვლავ დაადასტურა, რომ ამ ქვეყნებთან თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება ყველა მიმართულებით. (ტაში).

იგივე აზიაში დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ როლს ასრულებს ინდოეთის მშვიდობისმოყვარული რეალისტური პოლიტიკა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ქვეყანასთან მეგობრობასა და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ დიდ ინდოელ ხალხს მშვიდობასა და აყვავებას (ტაში).

მნიშვნელოვანი და ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელია ჩვენი ეკონომიკური და სხვადასხვა ურთიერთობა მზრდელ იაპონიასთან. ჩვენ მზად ვართ კეთილად განვავითაროთ ეს ურთიერთობა. რამდენად გამოგვიგია ეს, დამოკიდებულია იაპონის მხარეზე, იმაზე, შეძლებს თუ არა იაპონიის ხელმძღვანელობა შეინარჩუნოს დამოუკიდებელი, რეალისტური კურსი თავის პოლიტიკაში, და არ აპყვეს გარეშენ ზეგავლენას, რომელიც იაპონიას უბიძგებს მილიტარიზაციისა და საბჭოთა კავშირისადმი მტრული მოქმედების საშიშ გზაზე.

პეკინი და ვაშინგტონი ერთად ამინებენ იაპონიას „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონელი პოლიტიკოსები საღად შეაფასებენ მდგომარეობას, გამოიჩენენ უნარს, ისეთად დაინახონ ნივთები, როგორიც არის, და არა ისეთად, როგორც მათ ამერიკასა თუ ჩინეთში წარმოსახავენ.

რაც შეეხება თვით ჩინეთს, ამ ქვეყანაში ახლა სერიოზული შინაგანი პროცესები მიმდინარეობს. ეს პროცესები, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობის შეფასება, ეტყობა, ჯერ ნაადრევია. მაგრამ აშკარაა, რომ უკვე ახლა ზოგიერთ მაოისტურ კონცეფციას ქვეყნის საშინაო განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა სოციალიზმთან, ჩინეთში საჯაროდ თუ არასაჯაროდ აკრიტიკებენ. მაგალითად, ყბადაღებულ „კულტურულ რევოლუციას“ ახლა იქ აშკარად უწოდებენ ჩინელი ხალხის უდიდეს ჯატასტროფას.

სამწუხაროდ, ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე ყოველივე ეს დღესდღეობით ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. იგი კვლავინდებურად მტრულად ეკიდება საბჭოთა კავშირს, ვიეტნამს, მონღოლეთს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, მტრულად ეკიდება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმეს.

უფრო მეტიც, პეკინი პირს კრავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყველაზე აგრესიულ წრეებთან, სულ უფრო აქტიურად ცდილობს წაჰკიდოს ეს სახელმწიფოები საბჭოთა კავშირს — იმ დროს, როდესაც იმპერიალისტი პოლიტიკოსები ისწრაფვიან ღრმად ჩაითრიონონ ჩინეთი ანტისაბჭოურ აქციებში.

ჩინეთის, ისევე როგორც პაკისტანის, სამსახურით გულმოდგინედ სარგებლობს, მაგალითად, ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს მოახერხოს აღმოსავლეთის რევოლუციისა და გადაქცევის ავლანეთი ახალ პლაცდარმად, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საბჭოთა კავშირსა და, აღმოსავლეთის თავისუფლებისმოყვარე დამოუკიდებელ ქვეყნებს. მაგრამ ეს ცდები განწირულია.

ჩვენ გამოვეხმაურეთ ავღანეთის მთავრობის მოწოდებას აგრესიის მოსაგერიებლად დახმარების შესახებ და ბოლომდე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის ხელშეკრულებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. ამაში არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი.

ჩვენ სიტუაციის პოლიტიკური მოწესრიგების მომხრენი ვართ. მისი ერთადერთი გზაა კონტრრევოლუციური ინტერვენციის შეწყვეტა, ავღანეთისა და მისი მეზობლების — უწინარეს ყოვლისა პაკისტანის მთავრობათა მორიგება.

საერთაშორისო ვითარების გამწვავებისა და გამალებული შეიარაღების გაძლიერების საბაბად ამერიკის შეერთებული შტატები ირანის ამბებსაც იყენებს. არ წყდება ამ ქვეყნის ეკონომიკური ბლოკადა. მის ირგვლივ კვლავ დაძრწიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის ხომალდები ავიაციითა და სადესანტო ნაწილებით.

ჩვენ ასეთი მოქმედება შეუწყნარებლად მიგვაჩნია და მტკიცედ ვადგავართ იმ პრინციპს, რომ მხოლოდ თვით ირანელ ხალხს შეუძლია განსაზღვროს თუ რა გზით იაროს წინ. ალბათ, ასეთსავე მიდგომას უნდა მოელოდნენ ირანის ხელმძღვანელებისაგან სხვა სახელმწიფოებიც — უწინარეს ყოვლისა მისი მეზობლები.

მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობა, ვიმეორებ, ფრიად რთულია. ახლა სახელმწიფოებისა და ხალხების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არ დაუშვან, რომ იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ძალის პოზიციიდან განდევნის დაძაბულობის შენელება, ხოლო გაძლებული შეიარაღების გაძლიერებას ახალი, ერთობ საშიში ხასიათი მიენიჭოს.

სსრ კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მზად არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ სათანადო პრობლემების განხილვას. ამას მოწმობს ფართო პროგრამა, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მაისის თათბირმა წამოაყენა, ამასვე ადასტურებს საბჭოთა კავშირის ამასწინანდელი ახალი წინადადებები იმ საკითხებზე მოლაპარაკების შესახებ, რომლებიც ევროპაში რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებას, აგრეთვე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივ შემცირებას ეხება.

ჩვენ დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელთაგან პასუხს მოველით ჩვენ მიერ დასახულ წინადადებებზე. ჩვენ მზად ვართ კონკრეტული საქმეებისა თ ვ ი ს შვიდობის განსამტკიცებლად, სანერთაშორისო ვითარების გასაჯანსაღებლად — და ამასვე მოველით მათგან!

სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა ყველა ხალხთა ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, მას მთელი მსოფლიოს ასმილიონობით ადამიანი იწონებს, და მე შემიძლია მტკიცედ განვაცხადოთ: ამ პოლიტიკას ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად და გულხვრილად გავატარებთ. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლა დადგა დრო, შეგასრულოთ სასიამოვნო მოვალეობა — გადმოვცეს ყაზახეთის ლენინის ორდენი. (ყველანი ფეხზე დგებიან. ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენი მიაბნია რესპუბლიკის დროშას).

ეს მაღალი ჯილდო თქვენს რესპუბლიკას მიენიჭა იმისათვის, რომ გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარა მილიარდ 250 მილიონ ფუთზე მეტი პური.

ქება და დიდება მიწათმოქმედთ, ყველას, ვინც თავისი გარჯა ჩაეკსოვა ამ შესანშნავ მოღწევას! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დაე, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს თქვენი დიადი სოციალისტური სამშობლო! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის მიხასამღებელი შეძახილები: „დიდება პარტიას!“, „დიდება საბჭოთა ხალხს!“).

□

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ტაშის გრიალში წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საიუბილეო მილოცვის ტექსტი.

მინდა ამ სახელოვანი დღის სამახსოვროდ, თქვა შემდეგ მან, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობას გადაეცეს შესანშნავი საბჭოთა მოქალაქის ვერა მუხინას სკულპტურა „მუშა და კოლმეურნე ქალი“.

ეს ნაწარმოები შესანიშნავად გამოხატავს მომავლისადმი სწრაფვას. ასეთი სწრაფვა სავსებით ახასიათებს თქვენს ხალხს, თქვენს რესპუბლიკას. (ხანგრძლივი ტაში).

□

მოხსენება „ლენინის ნათელი გზით“ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **დ. ა. კუნაევმა.**

ამხანაგ დ. ა. კუნაევის მოხსენება

ამ ღირსსახსოვარ დღეებში ყაზახი ხალხი, რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი, თქვა დ. ა. კუნაევმა, უდიდეს სიხარულსა და არნახულ აღფრთოვანებას განიცდიან, რაც გამოწვეულია ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულობით.

მთელ დიად საბჭოეთთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყომუნისტთა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიაბიჯებენ ოქტომბრის ნათელი გზით და დამაჯერებლად ადასტურებენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მისი დიადი იდეალებისადმი.

ყოველივე, რასაც ყაზახეთმა მიაღწია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების პრაქტიკული დანერგვის, მიზნისა და მოქმედების ერთიანობით შედუღაბებული ჩვენი ქვეყნის ხალხების მძლავრი თანამეგობრობისა და ძმობის შედეგია. უკვდავი ლენინის ანდერძის განხორციელების, მის მიერ შექმნილი პარტიის გარდამქნელი საქმიანობის შედეგია.

ჩვენ დიდად აგვაღელვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მოლოცვამ. ამ მოლოცვის გულითად სიტყვებში ჩვენ ვხედავთ სრა მარტო პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების დასტურს, არამედ, უწინარეს ყოვლისა სამერმისო ნებას.

ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელი და ღრმაშინაარსიანი სიტყვა — ჩვენი ზეიმის ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა. ეს სიტყვა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დასტურებს ლენინური პარტიის ბრძენ ხელმძღვანელობას, მოსავალი უკვე აღებულია. ეს ნიშნავს, ამ ფრაზა ბრეჟნევმა, შესანიშნავ ფორმაში „ყამოშინ“, ყაზახი ხალხი „იდგმნება ისტორიის მწვერვალზე, [illegible] ესმოდა რა მთელი ქვეყნის მოთხოვნილებანი, გამოავლინა თავისი რევოლუციური [illegible] ინტერნაციონალისტური თვისებები.

სწორი ნაბიჯებია, მიწას ვარსებ[illegible] სწორედ ეს. ყაზახეთის [illegible] ერთ-ერთ [illegible] ინ. ბეგენ [illegible] ბეგენ [illegible] ბეგენ [illegible]

თათბირი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 28 აგვისტოს თათბირი გართა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკის მინისტრები, პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, ყაზახეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევეი.

ამხანაგმა **დ. ა. კუნაევმა** თავის გამოსვლაში ყველა იქ დამსწრე ამხანაგის სახელით გულითადი მადლობა მოახსენა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ ჩამოვიდა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე.

ამხანაგმა დ. ა. კუნაევმა თავის გამოსვლაში თათბირის მონაწილეების, საბჭოთა ყაზახეთის ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა მოახსენა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმ დიდი პატივისთვის, რომ გაიზიარა ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის სახელოვანი მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობის სიხარული.

ყაზახეთისათვის, ისევე, როგორც მთელი ქვეყნისათვის, მეათე ხუთწლედი სწრაფპოვარია აღმშენებლობის მასშტაბით, განაგრძო მან.

პირდაპირ ჩვენ თვალწინ ახლდება ყველაზე დაშორებული რაიონების ცხოვრება, უკეთესობისაკენ იცვლება მთელი ჩვენი სინამდვილე.

რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს ამაღლებული, უაღრესად საქმიანი განწყობილება აქვს. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგებმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ ამ პლენუმზე.

რესპუბლიკის მრავალდარგოვან მრეწველობაში, მის კაპიტალურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში მოხდა და ხდება დიდი ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრული სკკპ XXV კრებისა და ყაზახეთის კომპარტიის XIV კრების გადაწყვეტილებებით.

მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით გაართვა თავი ხუთწლედის ოთხ წლის დავალებსა და მიმდინარე წლის რვა თვის დავალებებს. ძირითადი ფონდები ამ ხუთწლედში თითქმის 30 მილიარდი მანეთით გაიზარდა. ამ დროის მანძილზე მრეწველობამ ითვისა 300-ზე მეტი ახალი საწარმოს მანქანა-მექანიზმები და ხელსაწყოები. შესამჩნევად დაწინაურდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ამაღლდა წარმოების ხარისხობრივი დონე.

ამასთან ერთად ყველა სამრეწველო საწარმოში და მშენებლობაზე რიდი ასრულებენ გეგმას. ცალკეულ დარგებში სუსტად იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, საკმარისად არ ითვისებენ ამოქმედებულ სიმძლავრეებს; არსებული ნაკლოვანებების, კერძოდ, დაგეგმვის შეუსაბამობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუგვარებლობის აღმოფხვრა კი დიდად არის დამოკიდებული საკავშირო ინსტანციებზე.

დ. ა. კუნაევმა ხაზი გაუსვა, რომ კაპიტალური მშენებლობა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, თქვა მან, რომ ივლისს შუა რიცხვებში თქვენთან, ლეონიდ ილიას ძევ, ტელეფონით საუბრის შემდეგ, როცა დაწერილებით შეეხეთ კაპიტალური მშენებლობის დიდ ნაკლოვანებებსა და ნარვეზებს, მთელი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობით მოვახერხეთ ბევრად გაგვეუმჯობესებინა საქმის მდგომარეობა.

დ. ა. კუნაევმა აღნიშნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მომხდარი დიდი ცვლილებები. ოთხი წლის განმავლობაში ყაზახეთმა გადაეპარებინთ შეასრულა მარცვლეულის წარმოების გეგმა. საშუალოდ ერთი წლის მანძილზე მან შეადგინა 27,5 მილიონი ტონნა, რაც 27 პროცენტით აღემატება წინა ხუთწლედის დონეს. ამ წლებში სახელმწიფოსათვის პურის საშუალო წლიურმა მიყიდვამ 996,5 მილიონ ფუთს მიაღწია. ამის შედეგად სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიეყიდეთ 235 მილიონი ფუთი, ანუ 3 მილიონ 854 ათასი ტონა.

ჩვენ კარგად გვესმის, რა მნიშვნელობა აქვს ახლა ჩვენი ქვეყნისათვის ყაზახეთის პურს, და ძალღონეს არ ვიშურებთ, რათა ყველაფერი გავახაროთ საყვარელი სამშობლო.

წელს რთულ პირობებში გვიხდება მოსავლის აღება. ყველა სირთულის მიუხედავად რესპუბლიკა წელიწადს მილიარდ ფუთ პურს მოიწევს.

შეეხო რა მეცხოველეობას, დ. ა. კუნაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს დარგის მკვეთრი აღმავლობისთვის მისი საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე. შემდეგ მან აღნიშნა ის მრავალფეროვანი დადებითი ძვრები, რომლებიც მოხდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში — ყველა სახეობის კავშირგაბმულობის, მეცნიერებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო სამსახურის დაწესებულებათა მუშაობაში.

ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, რესპუბლიკაშიც წარმატებით ხორციელდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემადგომი გაუმჯობესების პროგრამა.

რესპუბლიკის იუბილეს ყაზახეთის პარტიული ორგანიზაცია გამოიყენებს იმისათვის, რომ მშრომელები დარაზმოს უმთავრესი მოვლენის — სკკპ მომავალი XXVI კრების უფრო აქტიური სამზადისისათვის. ახლა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს. მალე დაიწყება რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმულ მითითებათა შესაბამისად ანგარიშგება-არჩევნების კამპანია გაწევენ მუშაობის ღრმა ანალიზის, კრიტიკისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვითარებაში მიმდინარეობს.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXVI კრების ღირსეული შეხვედრისათვის, რომლის აღნიშვნასაც ყაზახეთის მშრომელები აპირებენ ახალი შრომითი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემდეგ გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ყაზახეთის კომპარტია 700 ათას კომუნისტს ითვლის, ჰყავს კარგი კადრები, აქვს დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, თქვენ გაართმევთ იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგას რესპუბლიკის წინაშე. სულით და გულით გიყოვრებთ სრულ წარმატებას ამ საქმეში.

□

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა შეკრებილმა ამხანაგებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად ქუხდა ხანგრძლივი ტაში.

□

თათბირზე გამოვიდნენ ყაზახეთის კომპარტიის მეული რიგი საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები. მათ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მშრომელები, ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ყაზახეთის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის წარმატებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია.

პარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. მ. ბოროდინმა** განაცხადა, რომ ოლქის სოფლის მშრომელებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ყაზახეთის მილიარდმაგი შეტანონ ღირსეული წვლილი — 205 მილიონი ფუთი მარცვლეული. ამრიგად, მარტო კუსტანაის ოლქი ხუთწლედში ქვეყანას მისცემს მილიარდ ფუთ პურს.

შეეხო რა ოლქის მსხვილი მრეწველობის განვითარებას, მან თქვა, რომ სკკპ XXV კრების გადაწყვეტილებათა და მომდევნო პლენუმების მითითებების შესაბამისად მრეწველობის პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების გეგმები ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად სრულდება.

ა. მ. ბოროდინმა წინადადება შეტანა უფრო აქტიურად შექმნან ახალი მეფრინველეობის ფაბრიკები.

თავისი გამოსვლა პარტიის ჯამბულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ხ. შ. ბეკტურგანოვმა** მიუძღვნა ფოსფორის მრეწველობის განვითარების პრობლემას. მან თქვა, რომ ჯამბულის ოლქში ძირითადად თავმოყრილია რესპუბლიკის ფოსფორის ბუდობები. აქ ამოქმედდა მაღნის მოპოვებისა და დამუშავების დიდი სიმძლავრეები. მაგრამ, თქვა ხ. შ. ბეკტურგანოვმა, შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნებოდა, ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო და ინსტიტუტი რომ მეტ დაინტერესებას იჩენდეს ფოსფორიანი პროდუქციის გამოშვებით. მინერალური სასუქები ხომ მარცვლოვანთ მოსავლიანობის ზრდის დამატებითი წყაროა.

პარტიის აქტიუბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ა. ლევენცოვმა** მაღლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმისათვის, რომ მხარი დაუჭირეს წინადადებას რესპუბლიკის ბიცობი მიწების ათვისების შესახებ. მან თქვა, რომ აქტიუბინსკის ოლქში 1972 წლიდან ნათესი ფართობები 700 ათასი ჰექტარით გაიზარდა, და წინადადება წამოაყენა სამეურნეო ბრუნვაში მოაქციონ არა მარტო ბიცობი, არამედ აგრეთვე მწირი მიწებიც.

ვ. ა. ლევენცოვმა გამოთქვა სურვილი, რომ გაძლიერდეს გეოლოგიური სამუშაოები ყაზახეთის ტერიტორიაზე, სადაც უხვად არის სასარგებლო წიაღისეული, კერძოდ, ნავთობი.

ჩვენი მუშაობის დამკვრელური უბანი იყო და არის მარცვლეულის წარმოების შემდგომი ზრდა, თქვა პარტიის კოჩეტავის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ხ. კუანიშევმა.** რომ ორც წინასწარი გამოანგარიშება მოწმობს, 2 მილიონ 660 ათასი ჰექტარიდან [illegible] წელს [illegible] ცენტნერ [illegible] მარცვლეულ, კოჩეტაველ [illegible] ყაზახეთის [illegible] ბრიგადირ [illegible] ბრიგადაში 145-150 მილიონი ფუთი პური. ამასთან უზრუნველყოფდნენ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სრულ მოთხოვნილებას თესლზე და დაბინავებენ ბელოლბში საჭირო ოდენობის მარცვლეულს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოხმარებისათვის.

ო. ხ. კუანიშევმა აღნიშნა, რომ ოლქში დიდი ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარებას.

ყაზახეთის სსრ დამზადების მინისტრმა **მ. დ. დაიროვმა** თქვა, რომ რესპუბლიკის ელევატორები და სხვა მარცვლეულსაცავები მზად არიან პურის მისაღებად და გადასამუშავებლად.

პარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. დემიდენკომ** აღნიშნა, რომ ოლქის ყოველი მეოთხე მეურნეობა ჩაება ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვლეულის მისაღებად გაჩაღებულ შეჯიბრებაში. ამიტომ, თქვა მან, ჩვენ გადავწყვიტეთ ხუთწლედში სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ექვსი წლიური გეგმა შევასრულოთ, და ამ გადაწყვეტილებას [illegible] ვაკანალდებთ კიდეც.

ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ, თქვა შემდეგ ვ. პ. დემიდენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის ლენინურ საქმიან სტილსა და მეთოდებს, არგუმენტირებულ მიდგომას დიდი თუ პატარა პრობლემების შემუშავება-განხორციელებისადმი. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ქვეყნად მტკიცე მშვიდობა და ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი განუყოფელია.

პარტიის ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა ჰდივანმა **ნ. ე. მოროზოვმა** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში წარმატებები მიღწეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი აგრარული პოლიტიკის შედეგად. ჩვენი კადრები, თქვა მან შემდეგ, რომლებზეც თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, ესოდენ გულთბილად წერდით „ყაზარში“, დაიზარდნენ და რიგიანად ამომეკვეს თავს საქმის ადგილზე. ყაზარის მეურნეობები ახლდება და უმჯობესდება, ადამიანები კარგად ცხოვრობენ.

ნ. ე. მოროზოვმა დააყენა საკითხი მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემისათვის განკუთვნილი ეროზიასწინააღმდეგო ტექნიკის წარმოების გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მან წინადადება წამოაყენა გაიზარდოს ზოგიერთი მანქანის წარმოება მთელ რიგ მოძველებულ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვების შემცირების ხარჯზე.

დასასრულ დ. ა. კუნაევმა თქვა:

ყველა აქ შეკრებილი ამხანაგის სახელით აღგითქვამთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, რომ ჩვენს შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში ნიადაგ ვიხელმძღვანელებთ იმ რჩევა-დარიგებითა და მითითებებით, რომლებიც თქვენ აქ გამოთქვით. ჩვენი საქმიანი, სასარგებლო სჯა-ბაასი უთუოდ შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მორიგი ამოცანების განხორციელებას. ჩვენ ყველანი ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ამ თათბირში მონაწილეობისათვის, იმ მუდმივი ყურადღებისათვის. რომელსაც გვითმობენ ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიუროო, ყურადღებისათვის, რომელსაც არ გვაკლებთ პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ.

(საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თათბირის მონაწილეებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების სახელით და მიულოცა მათ.

შემდეგ მან თქვა.

უკანასკნელად ჩვენ აქ ერთმანეთს 1976 წლის სექტემბერში შეეხვდით. ეს მეათე ხუთწლედის დამდეგს იყო. ახლა კი იგი იწურება. დადგა დრო, ღირსეულად დავასრულოთ იგი და ვიფიქროთ მომავლისთვისაც.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიუროო, პარტიის რესპუბლიკის საოლქო კომიტეტები ბევრს და ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის. უკანასკნელ წლებში თქვენ ბევრი რამ იღონეთ იმისათვის, რომ გაგვეთარებინა ნედლეულის, სოფლის მეურნეობა, კაპიტალური მშენებლობა ქალაქად და სოფლად, გაგვზარდათ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

ინტერესით მოვისმინე ამხ. კუნაევის ინფორმაცია. მისმა ნათქვამმა განმიმტკიცა რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ღირსეულ შედეგებს შეაგებებენ პარტიის XXVI ყრილობას.

ამისათვის კი, ბუნებრივია, კარგად უნდა გავისარჯოთ.

ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა წელსაც მივცეთ სახელმწიფოს მილიარდი ფუთი პური. როგორც ვხედავ, თქვენ სერიოზულად გგონივალისწინებიათ თქვენი შესაძლებლობანი და გულდაჯერებით ჰკიდებთ ხელს ამ ვალდებულების შესრულების საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ხალხი ამ ცნობას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება. გისურვებთ პირნათლად შეგასრულებინოთ ნაკისრი ვალდებულება.

ვსარგებლობ ჩვენი შეხვედრით და მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ზოგიერთ კონკრეტულ საქმესა და პრობლემას.

თავდაპირველად სოფლის მეურნეობაზე მოგახსენებთ. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ უნდა ვიმუშაოთ სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მარცვლეულს. ეფიქრობ, ყაზახეთს შეუძლია აქ თავისი ახალი სიტყვა თქვას.

მილიარდიანი მიჯნა, რომლის მიღწევაც ჩვენ ნორმად დავიასახეთ, შეიძლება ითქვას, ათვისებულია. მომდინარე ხუთწლედში ხუთიდან ოთხ წელიწადს თქვენ სახელმწიფოს მილიარდ ფუთსა და მეტ მარცვლეულს ავარებთ. ეტყობა, დროა ახალი მიჯნები დალაშქროთ.

1976 წელს თქვენ სახელმწიფოს ჩააბარეთ თითქმის მილიარდ 200 მილიონი ფუთი, შარშან — მილიარდ 262 მილიონი ფუთი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტექნიკისა და სასუქის მიწოდება წლითიწლობით იზრდება.

ამას წინათ ჩვენ თქვენი თხოვნით განვიხილეთ და მივიღეთ დადგენილება ყაზახეთის ბიცობი მიწების ათვისების შესახებ. უკვე უახლოეს წლებში თქვენ შეძლებთ ბრუნვაში მოაქციოთ 2 მილიონ ჰექტარზე მეტი ასეთი მიწა. თქვენ გაქვთ ბრიხლისა და სიმინდის მარცვლის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი. მიწათმოქმედების გაძღოლის გამოცდილებაც საკმაოდ შეიძინეთ.

ამიტომ, ამოცანა, რომ შეინარჩუნოთ მიღწეული მიჯნა — სახელმწიფოს ჩააბაროთ ჩვეულებრივ მილიარდი ფუთი მარცვლეული საშუალოდ წელიწადში, — სავსებით რეალური ხდება. ხოლო ხელსაყრელ წლებში სასაქონლო მარცვლეულის წარმოებამ შეიძლება ამ ციფრებსაც გადაამეტოს.

მოგიწოდებთ, ამხანაგებო, აქტიური მუშაობა გააჩაღოთ მარცვლეულის წარმოების და სახელმწიფოზე მიყიდვის გადიდებისათვის.

მეორე გახლავთ მეცხოველეობის საკითხი. კარგია, რომ წელს მიაღწიეთ ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოების ზრდას, და ყველა ამ პროდუქტის მიხედვით გადააჭარბეთ ნახევარი წლის გეგმას.

და მაინც,ამ დარგის მდგომარეობისადმი მეტი ყურადღება გმართებთ. ყაზახეთს ახლა შეუძლია უფრო სწრაფად განავითაროს მეცხოველეობა, განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს ხორცის წარმოების ზრდის აუცილებლობას.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე თქვენში სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის წონა 62 კილოგრამით გაიზარდა. ახლა იგი რესპუბლიკაში 400 კილოგრამს სჭარბობს. ეს უკვე რიგიანი მაჩვენებელია. მაგრამ ყაზახეთისათვის მაინც ცოტაა. დღესდღეობით ბევრი თქვენი მეურნეობა უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს.

მთლიანად ყუსტანაის ოლქში სახელმწიფოს აბარებენ პირუტყვს, რომლის საშუალო წონა 438 კილოგრამს შეადგენს, ხოლო პავლოდარის ოლქში — ეს მაჩვენებელი სულ 374 კილოგრამს შეადგენს. როგორც ხედავთ თითოეულ სულ პირუტყვზე დაახლოებით 60 კილოგრამი ხორცი იკარგება.

როგორც ჩვენს წინა შეხვედრებზეც აღგვინიშნავს, დიდი რეზერვია მეცხოველეობა. ერთი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს თქვენი წინადადებანი და მიიღეს სპეციალური დადგენილება „უაზახეთის სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. რესპუბლიკას გამოეყო საჭირო კაპიტალური დაბანდება და მატერიალური რესურსები, გაეწია სხვა დახმარება. იმედი გვაქვს, რომ თქვენ წინაშე დასახული ამოცანა 50 მილიონამდე გაზარდოთ ცხვრის სულადობა — წარმატებით შესრულდება.

და, რაღა თქმა უნდა, მეტი ყურადღება გმართებთ მეცხოველეობის ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზოგიერთი მუშაკი შეეგუა პირუტყვის მცირე პროდუქტიულობას და არანორმალურ მდგომარეობას ჯოგის განახლებაგამრავლებაში.

მე მხედველობაში მაქვს მოზარდეულის მცირე გამოსავლიანობა: იგი თქვენში ყოველ ას ფურზე 60-65 ხბოს, ყოველ ას ნერბზე 80-90 ბატკანს შეადგენს. არის ოლქები, სადაც ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლები არის. არა მგონია, რომ ეს ასეთი ფენომენი ბუნებრივი ან ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორებით ახსნილ-ახსნილ-ახსნილ-

ლენინის ნათელი გზით

(დასასრული)

დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილებას, ბევრ სხვა სამეცნიერო დაწესებულებას. კვლევა-ძიების მასშტაბითა და მნიშვნელობით ისინი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენენ.

ხალხი, რომელიც სამყაროს მისცა აზროვნების ბუმბერაზები, მაგრამ რომლის ესთეტიკური კუთვნილება წარსულში ძირითადად ფოლკლორი და ხალხურგამოყენებითი ხელოვნება იყო, ახლა ფლობს მაღალგანვითარებულ თანამედროვე კულტურას — ფორმით ეროვნულს და შინაარსით სოციალისტურს.

მზარდი იდეურ-მხატვრული დონე ახასიათებს დღეს ყაზახეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს. ეს ინტელიგენცია აღიზარდა მრავალეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების ლენინური ტრადიციებით, და ბაძავს ყაზახური საბჭოთა კულტურის მოთავეთა შთამაგონებელ მაგალითს.

ორატორმა მადლიერებით მოიხსენია რუსული კულტურის ბევრი მოღვაწე, სახელი, რომელთა შემოქმედება, ყაზახეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ხალხთა მეგობრობის საკურთხეველზე მიტანილი გულუხვი ძღვენია. მაგრამ იგი ახლაც აქტიური ზემოქმედებას ახდენს ყაზახურ და რუსულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების მაცოცხლებელ პროცესზე საბჭოთა ყაზახეთის მრავალეროვნული კულტურის ერთიან კალაპოტში, რომელიც ახალი, სოციალისტური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია.

ჩვენი ინტელიგენცია, თქვა შემდეგ დ. ა. კუნაევმა, აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის სოციალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ცხოვრობს მისი ღვიძლი ინტერესებითა და ამოცანებით, გრძნობს, რომ განუყოფლად არის დაკავშირებული მთელი დიადი საბჭოთა ბედ-იღბალთან.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ახლა უმაღლესი განათლების მქონე მილიონ 200 ათასზე მეტი სპეციალისტი შრომობს.

გაიზარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა. თითქმის 15 მილიონი კაცი ცხოვრობს რესპუბლიკაში, მათ შორის მის დედაქალაქში უკვე დაახლოებით მილიონი მცხოვრებია. ყაზახეთის 80 ქალაქთაგანი 60-ზე მეტი საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენდა. 19 ჩვენი საოლქო ცენტრიდან თითოეული დიდ სამრეწველო, სამეცნიერო და სასწავლო ცენტრად იქცა. მათ აქვთ თავიანთი განუმეორებელი არქიტექტურული სახე, რომელიც წლითიწლობით ლამაზდება. მშვენდება რესპუბლიკის ყველა ქალაქი და მუშათა დაბა. უკეთესობისაკენ იცვლება სოფლებისა და აულების იერსახე. მარტო ბოლო 15 წლის მანძილზე ყაზახეთის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. განსაცვიფრებელია ჯანმრთელობის დაცვის წარმატებები. ბევრი რამ კეთდება ფიზკულტურის, სპორტის, ტურიზმის, მათი მასობრიობის განვითარებისათვის.

როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ვითარდება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა, საყოფაცხოვრები მომსახურება, რომლებიც მუდმივ ყურადღებას მოითხოვს, როგორც დარგები, რომლებიც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა მოთხოვნილებებთან. ყველა ეს და მრავალი სხვა მიღწევა — პარტიის უდიდესი გარდამქმნელი ძალის, მისი ეკონომიკური პოლიტიკის უმაღლესი მიზნის მატერიალიზაციის დადასტურება, — ლენინის თქმით, გამოხსნელია „...საზოგადოების **ყველა** წევრის **სრული** კეთილდღეობისა და თავისუფალი **ყოველმხრივი** განვითარების უზრუნველსაყოფად“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 51).

მთელი მსოფლიო ხედავს, როგორ გახდა საბჭოთა ყაზახეთი სხვა რესპუბლიკებთან ერთად სოციალიზმის კაშკაშა შუქურა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ხალხებისათვის.

დღეს და ყოველთვის, თქვა დ. ა. კუნაევმა, ჩვენ ყველაზე სანუკვარ ოცნებებს მივაპყრობთ ლენინურ პარტიას — ხალხის სისხლთა სისხლთაგან და ხორცეს ხორცთაგან, მისი ყველაზე საარსებო მისწრაფებების გამომხატველს. ჩვენ ვამაყობთ, რომ 60 წლის მანძილზე ყაზახეთის კომუნისტური პარტია პატარ-პატარა ორგანიზაციებიდან და ჯგუფებიდან 720-ათასიან ორგანიზაციად გადაიქცა. კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ყაზახეთის კომუნისტები განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ლენინური ცენტრალური კომიტეტის მითითებებით. რესპუბლიკის მრავალდარგოვანი მრეწველობის, მისი კაპიტალური მშენებლობის, სოფლის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფ აღმავლობაში დიდია საოლქო, საქალაქო, რაიონული, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, რომლებიც ცოდნას, ძალღონესა და ენერგიას არ იშურებენ პარტიის მიერ დასახული დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენ სულითა და გულით გიხდით მადლობას თქვენ, ძვირფასო ლენინად ილიას ძეკ, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის მუშაობის მაღალი შეფასებისათვის, დღეს რომ გამოთქვით, თქვა ორატორმა. ყაზახეთის კომუნისტები ყოველთვის ატარებდნენ, ატარებენ და კვლავაც ღირსეულად ატარებენ რესპუბლიკის მშრომელთა ავანგარდის საპატიო წოდებას, აღზრდიან მათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. საბჭოთა პატრიოტიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს ცხოვრების უცილობელ ნორმად გახდიან.

ახლა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმზე და დღეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებათა შესაბამისად, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, ჩვენ მოვალენი ვართ კონსტრუქციულად, საქმიანად წარვმართოთ იგი, სათუთად მოვეკიდოთ ყოველივე დადებითს და ამასთან ერთად გადაჭრით გამოვაააშკარაოთ ნაკლოვანებანი, კრიტიკულად შეეფასოთ, აქტიურად აღმოვფხვრათ ისინი, ყოველმხრივ ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი ცხოვრების ყველა სფეროში, გავააქტიუროთ საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის საქმიანობა.

სახელოვან მე-60 წლისთავს საბჭოთა ყაზახეთი შემოქმედებითი ძალებით აღსავსე შეეგება. რესპუბლიკის მშრომელები, საერთოდ, წარმატებით ართმევენ თავს სკკპ XXV ყრილობისა და ყაზახეთის კომპარტიის XXV ყრილობის პასუხსაგებ ამოცანებს. რესპუბლიკის მრავალდარგოვანმა მრეწველობამ შეასრულა ოთხი წლის გეგმები და მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის რვა თვის გეგმა.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის 500-ზე მეტმა საწარმომ, თითქმის 20 ათასმა ბრიგადამ, ცვლამ, საამქრომ და უბანმა, 300 ათასამდე მოწინავემ უკვე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა თავისი ხუთწლიანი დავალებანი. სოფლის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში მარცვლეულის წარმოება-დამზადების გეგმას. მთელმა რიგმა ოლქებმა, 38 რაიონმა, 450-ზე მეტმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ სამშობლოს უკვე უპატაკეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლედის ვადამდე დამთავრება. კარგი მიღწევებით ხვდებიან დღესასწაულს რესპუბლიკის მეცხოველეები. შთამბეჭდავია ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვა უბნებზე მოპოვებული წარმატებებიც.

მთელ ქვეყანასთან ერთად, თქვა შემდეგ დ. ა. კუნაევმა, რესპუბლიკა დიდ მოვლენათა მოლოდინშია. მათგან უმთავრესია სკკპ მომავალი XXVI ყრილობა. ეგებება რა მას, ყაზახეთი კიდევ უფრო სრულად აკეთებს თავის სიმდიდრეს, მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას ახმარს მას.

ყაზახებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოლობისწინა წელი ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში მოპოვებული ახალი წარმატებებით აღნიშნონ. დიდად მნიშვნელოვანია, რომ ყველგან ვესწრაფოდეთ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას. ისინი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არის. ჯერ კიდევ ყველა შრომითი კოლექტივი როდი მუშაობს მთელი ძალ-ღონითა და შესაძლებლობით. არ აღმოფხვრილა საგეგმო და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. მთელ რიგ დარგებში სუსტად ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

ჩვენ მოვალენი ვართ გადაჭრით და შეურიგებლად, მთელი ძალებით, საზოგადოებრიობის, პრესის, ტელევიზიის, რადიოს აქტიური მონაწილეობით ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს, ყველგან უზრუნველვყოთ საქმიანი განწყობილება, ორგანიზებულობა, დისციპლინა, მაღალი მომთხოვნელობა, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს.

ამჟამად რესპუბლიკის ველმინდვრებში გაჩაღდა გმირული ბრძოლა დიდი ყაზახური პურისათვის. ეს ბრძოლა უკვე წარმატებით გადაიხადეს სამხრეთის ოლქებმა. ახლა გადამწყვეტი ბრძოლების ასპარეზი ხდება რესპუბლიკის ძირითადი სამარცვლე ზონები. მაგრამ დიდი პური თავისდათავად ვერ დაბინავდება ბეღლში. საამისოდ მოვალენი ვართ ბევრი რამ ვიღონოთ.

მაშ, მოდით, განაცხადა ორატორმა, ნუ დავიშურებთ ცოდნას, ძალ-ღონესა და ოსტატობას, ვიმუშაოთ მაგრად და საფუძვლიანად, რათა კვლავ გავახაროთ საყვარელი სამშობლო ახალი სრულწონიანი ყაზახური მილიარდით.

მიღწეულის მწვერვალებიდან ნათლად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია უფროსი თაობების მიერ მოპოვებულის გამრავლება, რაოდენ მნიშვნელოვანია გეკისრებოდეს მთელი პასუხისმგებლობა აწმყოსა და მერმისისათვის.

მოხსენების დასასრულს დ. ა. კუნაევმა თქვა: ღირსშესანიშნავი თარიღი, რომელსაც დღეს ვზეიმობთ, კიდევ ერთი მარადსახსოვარი ნიშანსვეტია პარტიის მიერ დასახული ბედნიერ გზაზე. ამასთან ერთად ეს არის კიდევ უფრო გრანდიოზული მიღწევების დათვლის ახალი წერტილი. ყველა ამ მიღწევას მთლიანად მივუძღვნით საყვარელ სამშობლოს, ლენინურ პარტიას, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ის, რომ ვეკუთვნით ადამიანთა პრინციპულად ახალ ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს — არის და ყოველთვის იქნება ჩვენთვის უდიდესი ღირებულება, ძალების დაუშრეტელი წყარო, შემდგომი წარმატებების საწინდარი. ჩვენ ყოველთვის და ყველაფერში ვუერთგულებთ ლენინის პარტიის დიად საქმეს, რომელმაც იდეური ნათესაობის კავშირით მთლოლითურად შეადღლაბა საბჭოთა ადამიანების ყველა თაობა.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყაზახი ხალხის სახელით მრავალეროვანი საბჭოთა ყაზახეთის ყველა მშრომელის სახელით ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მის მეთაურს — ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ ყაზახები ბედნიერ ეპოქაში, ინტერნაციონალურ და პატრიოტულ ვალს — ყოველნაირად განამტკიცებენ სამშობლოს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, მთელ ძალ-ღონეს, ენერგიასა და ცოდნას მოანმარენ კომუნიზმის მომავალ და უცილობელ გამარჯვებას.

(ამხანაგ დ. ა. კუნაევის მოხსენების დროს არაერთგზის გაისმა ხანგრძლივი ტაში).

□

სახელოვანი იუბილე და ყაზახეთის სსრ რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემა რესპუბლიკის მშრომელებს გულითადად მიუოცეს დელეგაციათა ხელმძღვანელებმა: მოსკოვისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა, ლენინგრადისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა, რუსეთის სფსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა, უკრაინის სსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, ბელორუსიის სსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა, უზბეკეთის სსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, საქართველოს სსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკისამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა, ლიტვის სსრ რესპუბლიკისამ — ა. ს. ბარაკაუსკასმა, მოლდავეთის სსრ რესპუბლიკისამ — ი. ი. ბოდიუღმა, ლატვიის სსრ რესპუბლიკისამ — ა. ე. ვოხმა, ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკისამ — ტ. უ. უსუბალიევმა, ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკისამ — ჯ. რასულოვმა, სომხეთის სსრ რესპუბლიკისამ — კ. ს. დემირჩიანმა, თურქმენეთის სსრ რესპუბლიკისამ — მ. გ. გაპუროვმა, ესტონეთის სსრ რესპუბლიკისამ — კ. გ. ვაინომ.

ორატორები ხაზს უსვამდნენ, რომ ლენინდ ილიას ძის სიტყვაში, რომელსაც უდიდესი გამოხმაურება ეძღვნება მთელ მსოფლიოში, მოცემულია უაღრესად ღრმა და ტევადი, მარქსისტულ-ლენინური ანალიზი როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის საქმეთა მეგობარეობისა; ისე თანამედროვე საერთაშორისო ვითარების, ჩამოყალიბებულია პარტიისა და ხალხის მოქმედების კონსტრუქციული პროგრამა მომდევნო წლებისათვის.

საბჭოთა ყაზახეთის შთამბეჭდავი მიღწევები, რის შესახებაც ნათლად თქვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, ამხანაგ დ. ა. კუნაევის მოხსენებაში, — ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სამშობლოს ერთგული ულოგავი, ენერგიული ბრძოლის ნაყოფია. ეს ბრძოლა ეროვნულ ინტერნაციონალიზმის ნამდვილ ნიმუშად, ინტერნაციონალურ ერთობად ჩამოყალიბებულ ახალ ისტორიულ ერად ეროვნული ურთიერთობების ლენინური ნორმების ერთგულ ერ